



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადი განათლების ადმინისტრირება (ქართულენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	ნიკოლოზ ფარჯანაძე, პროფესორი, დოქტორი მობილური ტელეფონი: +995 558 902 185 ოფისის ტელეფონი: +995 322 59 00 05 (შიდა 137) ელ-ფოსტა: <a href="mailto:nparjanadze@ibsu.edu.ge">nparjanadze@ibsu.edu.ge</a> <a href="mailto:nickparjanadze@yahoo.com">nickparjanadze@yahoo.com</a>
სწავლების საფეხური	მაგისტრატურა (უმადლესი განათლების II საფეხური)
სწავლების ენა	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში (Master of Education in Education Administration)
დაშვების წინაპირობები	სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე).  სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე).  ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ან აქვთ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL IBT, IELTS და FCE).
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ზოგადი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია: <ul style="list-style-type: none"> <li>• მისცეს სტუდენტს ზოგადი განათლების სფეროს შესახებ ცოდნა და ზოგადი განათლების ადმინისტრირების სათანადო კვალიფიკაცია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;</li> <li>• მისცეს სტუდენტს განათლების სფეროს (პედაგოგიური) ცოდნა და უნარ-ჩვევები, რადგან საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრატორი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ფლობს არა</li> </ul>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მ-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: [contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>მარტო პროცესების მართვისათვის აუცილებელ ცოდნას, არამედ ღრმად იცნობს სასწავლო კონტექსტს და სწავლების მეთოდოლოგიასა და მიდგომებს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოამზადოს განათლების სფეროს ადმინისტრატორი, რომელიც იცნობს როგორც ზოგადპედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ასევე განათლების ადმინისტრირების კონკრეტულ საკითხებს - განათლების სფეროს ლიდერობა და ადმინისტრირება, საგანმანათლებლო პოლიტიკა და ზოგადი განათლების სისტემის მართვის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება;</li> <li>• სტუდენტებს გააცნოს ზოგადი განათლების სფეროს შესახებ არსებული საერთაშორისო გამოცდილება, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მთლიანად კონცენტრირებულია საქართველოს კონტექსტზე, თანამედროვე სამყაროში ხშირია საგანმანათლებლო პოლიტიკისა და ინიციატივების სესხება-ადაპტირება (საქართველო არ არის გამონაკლისი ამ თვალსაზრისით); შესაბამისად, ცალკეული კონტექსტის შესწავლა უზრუნველყოფს კონკრეტული საგანმანათლებლო მიდგომების უკეთ გააზრებას. საერთაშორისო გამოცდილება ეხმარება განათლების სფეროს პროფესიონალებს დროული და ეფექტიანი საგანმანათლებლო სტრატეგიების, მიდგომებისა და ინიციატივების შემუშავებაში;</li> <li>• სტუდენტს გაუღვივოს სწავლის შემდეგ ეტაპზე (დოქტორანტურაში) გაგრძელების სურვილი. ამისათვის კი საჭიროა გარკვეული თეორიული ბაზისის (პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, განათლების ადმინისტრირების) შექმნა, რაც უზრუნველყოფილია მთელ რიგ სასწავლო კურსებში;</li> <li>• აღჭურვოს სტუდენტი სათანადო ცოდნით და უნარ-ჩვევებით, რათა იმუშაოს სკოლის ადმინისტრაციაში და ზოგადი განათლების მართვისა და ორგანიზების პროცესზე პასუხისმგებელ სხვადასხვა დაწესებულებაში;</li> <li>• სტუდენტს ჩამოუყალიბოს ღირებულებები, რომელთა შესაბამისად სტუდენტს უვითარდება ზოგადი განათლების ადმინისტრირების სფეროს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ღრმა ინტერესი, ჰუმანისტური და სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკის პრინციპებისადმი პატივისცემა.</li> </ul>
--	---

### შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: [contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

<p><b>სწავლის შედეგები</b></p>	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზოგადი განათლების სფეროს ცოდნა და გაცნობიერება - საქართველოს ზოგადი განათლების სტრუქტურისა და მისი სპეციფიკის ცოდნა, საკანონმდებლო ბაზის ცოდნა, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასწავლო პროცესში გასათვალისწინებელი საკითხების ცოდნა</li> <li>• ზოგადი განათლების ადმინისტრირების სპეციფიური საკითხების ცოდნა და გაცნობიერება - სასწავლო პროცესის ყოველდღიური ადმინისტრირებისათვის აუცილებელი სათანადო ცოდნა, სკოლის განვითარებისათვის აუცილებელი სტრატეგიული დაგეგმარების პროცესისა და კომპონენტების ცოდნა</li> <li>• განათლების ადმინისტრირების, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიისა და არსის ცოდნა და გაცნობიერება</li> <li>• განათლების ლიდერობისა და ადმინისტრირების თეორიების ცოდნა და გაცნობიერება</li> <li>• განათლების დარგის ტერმინოლოგიის ცოდნა ინგლისურად, რათა სტუდენტი გაეცნოს ინგლისურ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და შესაბამისად, საერთაშორისო გამოცდილებას</li> </ul> <p>საჭირო ელექტრონული პროგრამების ცოდნა (PowerPoint, Microsoft Word, Excel, EndNote, Zotero)</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიღებულ თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით სფეროსათვის დამახასიათებელი სპეციფიური პრობლემების გადაჭრის უნარი - სასწავლო გარემოს განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობა-ორგანიზება, ეროვნული სასწავლო გეგმის გააზრება და პრაქტიკაში რეალიზება</li> <li>• თეორიული მსჯელობის პრაქტიკული მაგალითებით განმტკიცების უნარი</li> <li>• საჭიროების შემთხვევაში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და მისი განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით - უნარი ჩაატაროს კვლევა კონკრეტულ სასწავლო გარემოში, რომლის მიზანიცაა ყოველდღიური სასწავლო პრაქტიკის კვლევა ცალკეული აკადემიური კომპონენტების გაუმჯობესების მიზნით</li> </ul> <p><b>დასკვნების გაკეთების უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზოგადი განათლების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრისათვის აუცილებელი გზების განსაზღვრის უნარი</li> </ul>
--------------------------------	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მუ-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარი აზრის შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით არგუმენტირების უნარი</li> <li>• თანმიმდევრული მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარი</li> <li>• საქართველოსა თუ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთებისა და განმტკიცების უნარი</li> </ul> <p><b>კომუნიკაციური უნარები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარი აზრის გამოხატვისა და დასაბუთების, ლოგიკური მსჯელობის უნარი</li> <li>• ინფორმაციის, მოსაზრებებისა და დასკვნების სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის თანმიმდევრულად გადაცემის უნარი</li> <li>• ინფორმაციის გადაცემისას (პრეზენტაციები, მოხსენებები, პროექტისა თუ კვლევის შედეგების გაცნობა) თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ნაყოფიერად გამოყენების უნარი</li> <li>• წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი, ფორმალურ (მაგ. ანგარიში, მოხსენება) თუ არაფორმალურ კონტექსტში აზრის ნათლად და თანმიმდევრულად გადმოცემის უნარი</li> <li>• ინტერაქტიული კომუნიკაციისათვის სათანადო გარემოს შექმნისა და ამგვარ კონტექსტში აუდიტორიის ჩართვის უნარი</li> </ul> <p><b>სწავლის უნარები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარი სწავლის ეფექტიანად დაგეგმვისა და გაძღვლის უნარი</li> <li>• სწავლის პროცესის შექმნილი გარემოებების შესაბამისად ორგანიზების უნარი</li> <li>• მეტი ეფექტურობის მისაღწევად დროის გადანაწილების უნარი</li> <li>• აკადემიურ პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების უნარი (სტუდენტის უნარი ინფორმაცია მოიპოვოს სხვადასხვა წყაროდან - ინტერნეტი, ბიბლიოთეკა, აკადემიური მონაცემთა ბაზები, როგორცაა ERIC, EBSCO, Google Scholar) სწავლისა და კვლევის წარმოების მიზნით</li> </ul> <p><b>ღირებულებები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ახალი, პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მოპოვებისაკენ მისწრაფება და კვლევისადმი ინტერესი</li> <li>• აკადემიური პატიოსნება</li> <li>• თანამედროვე ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეთიკური და მორალური ღირებულებების პატივისცემა</li> <li>• განათლების სფეროს მორალისა და ეთიკის პატივისცემა</li> </ul> <p>პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა</p>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

<p><b>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</b></p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;</li> <li>2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;</li> <li>3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;</li> <li>4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;</li> <li>5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.</li> </ol> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</li> <li>2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</li> </ol> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: [contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)





## საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;</p> <p>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.</p> <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p>
<p><b>დასაქმების სფერო</b></p>	<p>ადმინისტრაციული მუშაკი განათლების სფეროში - სკოლის საშუალო და ზემო რგოლის ადმინისტრატორი, დაწყებითი და საშუალო სკოლის დირექტორი, საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალი. ასევე, არის დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: [contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)